

2017 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით  
აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ  
შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ

- 1) საკუთრების უფლება ..... (1-4 გვ.)
- 2) გადაადგილების უფლება ..... (4-5 გვ.)
- 3) ქალთა უფლება ..... (6-7 გვ.)
- 4) ბინადრობის ნებართვა და პასპორტიზაცია ..... (7-9 გვ.)

### საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, საკუთარი ნების შესაბამისად და სხვათა ინტერესების შეუღლებად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას. ადამიანის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება“.

ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე უძრავი ქონების გასხვისების საკითხი ერთერთი ყველაზე აქტუალური და მტკივნეულია. იმის მიუხედავად რომ კანონს, რომელმაც უნდა დაარეგულიროს უძრავი ქონების გასხვისების საკითხი მორატორიუმი ადევს, ვნებათაღელვა ამ თემის ირგვლივ მაინც არ წყდება.

უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის საკითხი უკვე კარგა ხანია ეკონომიკურიდან პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა და ეს საკითხი, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის და ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების განცხადებების რადიკალიზაციის ფონზე შესაძლოა, მოსალოდნელი პოლიტიკური მღელვარების წინაპირობად იქცეს.

იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლების შესახებ საუბარია იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებშიც. აღნიშნული დოკუმენტის 21-ე მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს „არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვათ საკუთრება“. ამავ მუხლის მე-3 ნაწილში კი ვკითხულობთ, „იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრება დაცული უნდა იყოს განადგურებისგან, თვითნებური და უკანონო დაკავებისა და გამოყენებისგან“.

აგრეთვე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილების, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლება განმტკიცებული და დეკლარირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, პინეიროს პრინციპებით, გაერო-ს და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მრავალი რეზოლუციებით.

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალი მოწოდებისა, თავი შეიკავონ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლების დარღვევით დევნილთა საკუთრებაში არსებული ქონების შეძენისა და განკარგვისაგან, მარიონეტული მთავრობა მაინც აგრძელებს საკუთრების უფლების უხეში დარღვევის პოლიტიკის გატარებას.

ოკუპირებულ აფხაზეთში დღემდე ადგილი აქვს დევნილების კუთვნილი ბინების (სახლების) უკანონო განკარგვას, რომელსაც საფუძვლად 2006 წელს მიღებული დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის სპეციალური ინსტრუქცია დაედო, რომლის თანახმადაც, თუ მიტოვებულ სახლს მეპატრონე 15 წლის განმავლობაში არ გამოუჩნდა, ის ავტომატურად მუნიციპალური საკუთრება ხდება.<sup>1</sup>

აღნიშნული ე.წ. კანონი ცალსახად არღვევს იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლებას, რადგან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სახლების (ბინების) უმეტესობა სწორედ დევნილებს ეკუთვნით, რომელთაც მრავალი წლების მანძილზე არ ეძლევათ საკუთარ სახლში დაბრუნების შესაძლებლობა.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ დატოვებული ქონება პოლიტიკური სპეკულაციების, უკანონო და კორუფციული გარიგებების საბაზი ხდება.

2017 წელს, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების ხშირ ვიზიტებსაც ამ საკითხს უკავშირებენ.

შეგვიძლია გავიხსენოთ 2017 წლის 3 ივლისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის ვიზიტი ოკუპირებულ აფხაზეთში, სადაც მან ე.წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე რეგიონის ბიზნეს გარემოზე საუბრისას პირდაპირ განაცხადა, „უძრავი ქონების ბაზარი აქ მკაცრად შეზღუდული; ეს ბარიერი გონივრულად რომ მოხსნილიყო, აფხაზეთის სუვერენიტეტისთვის რისკის შექმნის გარეშე, ეს ძლიერ ბიძგს მისცემდა ამ საკითხის მოგვარებას“<sup>2</sup>

რუსულენოვან პრესაში და სოციალურ ქსელებში ხშირად ჩნდება პუბლიკაციები, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეების საკუთრების უფლების დარღვევას და მათზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს ეხება, რაც ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობაში სერიოზულ დამაბულობას ქმნის.<sup>3</sup>

ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე წლის წინ აგორებული სკანდალი, როდესაც აღმოჩნდა, რომ რუსეთის რამდენიმე მოქალაქეს ერთიდაიგივე ბინაში ჰქონდათ თანხა გადახდილი. მაშინ დაზარალებულებმა სასამართლო დავა დაიწყეს, მაგრამ მათთვის ეს უშედეგოდ დასრულდა.

აგრეთვე, არის შემთხვევები, როდესაც დევნილების (ქართველები, რუსები, ბერძნები და სხვა) მიერ იძულებით მიტოვებული, საცხოვრებლად ვარგისი ბინები (სახლები) კორუფციული გზით, გადააქვთ არასაცხოვრებელ ფონდში და შემდეგ უკანონოდ ისაკუთრებენ. ამ ტიპის უძრავ ქონებას ხშირად, კანონიერი რუსი, სომეხი, ბერძენი ეროვნების მფლობელი უჩნდება. იწყება სასამართლო დავები, რომლებიც როგორც წესი მოსარჩელის დაშინებით ან მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით მთავრდება.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებულმა გაუგებარმა ვითარებამ აფხაზეთის საზოგადოება ორად გაყო.

პირველი ნაწილი თვლის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა გამოიწვევს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასობრივ ჩასახლებას ოკუპირებულ აფხაზეთში, რაც უარყოფითად აისახება ისედაც მცირერიცხოვან აფხაზეთ ეთნოსზე, მოხდება მისი ასიმილაცია და შედეგად გამოიწვევს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. ამას ემატება ისიც, რომ არაღიარებული რესპუბლიკის შს უკვე ყოფილმა მინისტრმა ასლან კობახიამ 2017 წლის 14 სექტემბერს გასცა ბრძანება, რომლის თანახმადაც რეპატრიანტები „აფხაზეთის მოქალაქის“ ე.წ. პასპორტებს დაჩქარებული წესით მიიღებენ. აღნიშნული კატეგორიის პირებზე პასპორტების გაცემის პროცესის მოწესრიგების მიზნით, ბრძანების თანახმად, რეპატრიანტები, ქართველებისგან განსხვავებით, ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეების პასპორტებს“ დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დე-ფაქტო შს-ს სპეციალური შემოწმების გარეშე მიიღებენ.<sup>4</sup>

მეორე ნაწილი (ე.წ. პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან დაახლოებული მოქალაქეების ვიწრო წრე და ნათესავები) კი თვლის, რომ უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისების ე.წ. კანონის განხილვაზე მორატორიუმი უნდა მოიხსნას. მათი აზრით, უნდა შემუშავდეს ახალი კანონი, რომელიც ე.წ. რესპუბლიკის სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნის გარეშე დაარეგულირებს მოცემულ საკითხს. ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეების ეს კატეგორია თვლის, რომ მყარი გარანტიების და უსაფრთხო ბიზნეს გარემოს გარეშე ინვესტიციების მოზიდვა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების უცხოელებზე გასხვისების მომხრეები, როგორც წესი, რამდენიმე ე.წ. სამხედრო ალაფით მიტაცებული ბინით (სახლით) უკანონოდ სარგებლობენ (ზოგიერთს აქირავენ, ზოგიერთში სასტუმროები აქვთ გახსნილი და ზოგიც გასაყიდად აქვთ

გატანილი). ხშირ შემთხვევაში ეს უკანონოდ მიტაცებული ბინები (სახლები) მათ თავის სახელზე რეგისტრირებულიც კი არ აქვთ.

შეგახსენებთ, 2016 წლის 1 აგვისტოს, ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა დე-ფაქტო პარლამენტში შეიტანა „უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი, რომლიც ავტორის (დე-ფაქტო ეკონომიკის სამინისტრო) განმარტებით, „შემუშავებულია უცხო ქვეყნებიდან ინვესტიციების მოსაზიდად და განიხილება როგორც გარდამავალი ეტაპი საკადასტრო აღრიცხვის ერთიანი სრულყოფილი სისტემის შექმნისა და უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის გზაზე“<sup>5</sup>

ინიცირებულმა კანონპროექტმა, რომლის მიხედვითაც ე.წ. მობინადრეები არარეგისტრირებულ უძრავ ქონებას ვერც გაყიდიან და ვერც გააჩუქებენ, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია უკანონოდ მიტაცებული ბინების ე.წ. მფლობელებში. აქედან გამომდინარე, ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეები დაჩქარებული წესით დაკავებულნი არიან უკანონოდ მისაკუთრებული უძრავი ქონების გაფორმებით, რაც, ბოლო პერიოდში ძალიან გართულდა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

ე.წ. პრეზიდენტის მიერ პარლამენტში შეტანილი „უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი აფხაზურ საზოგადოებაში შეფასდა როგორც „უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გასხვისების შესახებ“ კანონის განხილვაზე მორატორიუმის მოხსნის წინაპირობა .

საგულისხმოა, რომ „აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე უძრავი ქონების გასხვისების შესახებ“ ე.წ. კანონის განხილვას მორატორიუმი ადევს და მოქმედი ე.წ. კანონით, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე უძრავი ქონების მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ არადიარებული რესპუბლიკის მოქალაქე.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ უცხოელებზე უძრავი ქონების მიყიდვის საკითხზე საუბრისას, გასაყიდი ობიექტების მიყიდვებზე, ამ ეტაპზე, მოიაზრებიან მხოლოდ რუსეთისა და იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც ცნეს ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისების საკითხზე საუბრისას, ყურადსაღებია აფხაზურ და რუსულ მედიაში თუ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სტატიები (პუბლიკაციები, სტატუსები), სადაც მიზანმიმართულად მიმდინარეობს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული საინფორმაციო სააგენტოების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის მომზადება, რომ მხოლოდ რუსეთის ფედერაცია არის მათი სტრატეგიული პარტნიორი და რომ მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერით არის შესაძლებელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა, ე.წ. დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ზემოაღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ოკუპირებული აფხაზეთის ერთ-ერთი სარიელტორო კომპანიის ხელმძღვანელის, ფატიმა ბიგვაგას ინტერვიუ, სადაც ის აღწერს არადიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ბაზრის თავისებურებების შესახებ.

ყურადსაღებია, ინტერვიუს ბოლო აზრები, სადაც ე.წ. კომპანიის ხელმძღვანელი „უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვის შესახებ“ ე.წ. კანონზე გამოთქვამს თავის აზრს: „აფხაზეთის ზოგიერთ მცირედასახლებულ და დეპრესულ რაიონებში, კვოტებით და სახლების რაოდენობის გათვალისწინებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვა მიზანშეწონილად მიმაჩნია, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, რომ მყიდველს ქონდეს პირადი და ფინანსური უსაფრთხოების გარანტია“.<sup>6</sup>

საკუთრების უფლების დარღვევის მხრივ, განსაკუთრებით მძიმეა ვითარება გალის რაიონში. ამ დღეებში გამოქვეყნდა გალის დე-ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინტერვიუ, რომელშიც აღწერილია ე.წ. ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცესი და მიზნები.

თემურ ნადარაიას თქმით, ე.წ. ბინადრობის ნებართვის გაცემას წინ უძღოდა ძველი ე.წ. „საბინაო წიგნების“ ამოღება და გალის რაიონის ქართულენოვანი მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგადაც გამოვლენილ იქნა 4 000 პირი, რომლებიც მართალია პერიოდულად ჩამოდიან თავიანთ

სახლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის და მოსავლის ასაღებად, მაგრამ მუდმივად ცხოვრობენ მდ. ენგურის გაღმა.

ამ კატეგორიის მოქალაქეებს თემურ ნადარაია უწოდებს „ყოფილ გალელებს“. მისი განმარტებით, „მანამდე ასეთ პირებს უკანონოდ გაცემული აფხაზეთის მოქალაქის პასპორტები ჰქონდათ. ხოლო ახლა მათი ამოცანაა, არ დაუშვან, რომ მათ ბინადრობის ნებართვა აიღონ“.

დე-ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, ასეთი პირებისთვის ოკუპირებული გალის რაიონში შესასვლელად ე.წ. ვიზების აღება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.<sup>7</sup>

თემურ ნადარაიას მოცემული განცხადება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება გალში მცხოვრებ ქართველი ეროვნების ადამიანებს, ღირსეულად ცხოვრების და თავისი შეხედულებისამებრ კუთვნილი ქონების განკარგვის უფლებას ართმევს.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა კუთვნილ და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებული მძიმე რეალიები გვამძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ ზემოაღნიშნულ საკუთრების უფლების დარღვევაზე და სხვა მრავალ უფლებადარღვევაზე, რომლებიც საგრძნობლად აფერხებენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, პასუხიმგებლობა რუსეთის ინტერესების გამტარებელ დე-ფაქტო ხელისუფლებას და რუსეთის ფედერაციას, როგორც ფაქტიურად კონტროლის განმახორციელებელს, ეკისრება.

### გადაადგილების უფლება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, რაც გამოიხატება ადამიანების არასათანადოდ მოპყრობაში და უკანონო დაკავებაში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია თავისუფალი გადაადგილების უფლება, მასიურად დარღვეულია საკუთრების უფლება. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების დამონტაჟებამ აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.

გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების შეზღუდვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აფხაზური რეჟიმის მიერ ენგურის პერიმეტრზე, დაბალი ზონის სოფლებთან მდებარე ორი გადასასვლელის - ოტობაია-ორსანტიისა და ნაბაკევი-ხურჩის გადასასვლელების გაუქმება, რომლის შესახებ სეპარატისტულმა რეჟიმმა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება. ამ ხნის განმავლობაში მუდმივად გაისმოდა მოწოდებები აფხაზური რეჟიმის მისამართით, გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისთვის და ხელი აეღო გამშვები პუნქტების დახურვაზე.

გალის რაიონის 200-მდე მცხოვრებმა 2017 წლის 25 იანვარს დე-ფაქტო საზღვარზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოსალოდნელი დახურვა გააპროტესტა. ნაბაკევისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობამ მდინარე ენგურზე არსებული ცენტრალური გადასასვლელისკენ გზა გადაკეტა. ენგურის ცენტრალური გადასასვლელი, რომელიც რუსული სასაზღვრო საგუშაგოს უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, მთავარია იმ 6 პუნქტს შორის, რომლითაც ადამიანები წლების განმავლობაში კვეთდნენ დანარჩენ საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დე-ფაქტო საზღვარს, მალე კი იგი ერთადერთი გახდება. არადა, ბევრ ადგილობრივს ენგურის გადასასვლელამდე მისაღწევად ავტობუსით 15-30 კმ-ის გავლა უწევს და მერე კიდევ 800 მეტრის ფეხით ენგურის ხიდზე ქართულ მხარეს მოსახვედრად.

გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თემურ ნადარაიას განცხადებით: „სადღესოდ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ დაბალი ზონის სოფლების მაცხოვრებლები დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ ენგურის ცენტრალურ გადასასვლელამდე.“ აქციის ადგილზე დღისით გალის რაიონის ე.წ. აფხაზური უშიშროების სამსახურის უფროსი თემურ შერგელია და ე.წ. შსს-ს ადგილობრივი განყოფილების თანაშრომლები იყვნენ მისულები. მათთან საუბრის შემდეგ გზა გაიხსნა და აქციის მონაწილეები დაიშალნენ.<sup>8</sup>

გადასასვლელის გაუქმებასთან დაკავშირებით, თავიანთი შეშფოთება გამოხატეს აშშ-მ, ეუთომ, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1281-ე სხდომაზე დღის წესრიგის საკითხის „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ განცხადება გააკეთა.

გალის რაიონის მაცხოვრებლების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ოთხწლიანი გაურკვევლობის შემდეგ, სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლებამ რეგიონის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემა დაიწყო. არაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბინადრობის ნებართვები ხუთწლიანი ვადით გაიცემა და განკუთვნილია „უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის“.

2017 წლის 21 აპრილს, სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ ბინადრობის ნებართვების მქონე იმ პირებს, რომლებიც აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ექვს თვეზე მეტხანს ცხოვრობენ, საბუთები ჩამოერთმევათ. ე.წ. დოკუმენტი მფლობელს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების, რეგიონში ცხოვრების და დანარჩენ საქართველოსთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის შესაძლებლობას აძლევს. ამგვარი „დოკუმენტი“ მის მფლობელს სრულ პოლიტიკურ უფლებებს არ ანიჭებს. ბინადრობის ნებართვა მფლობელს საშუალებას აძლევს აფხაზეთში არსებული საკუთარი ქონება გაყიდოს ან ანდერძით გადასცეს, თუმცა ეს უფლება არ ვრცელდება ქონების შესყიდვაზე.

სოხუმის ხელისუფლება ბინადრობის ნებართვებით რუსეთის ფედერაციაში შესვლის და გამოსვლის უფლების მოპოვების მიზნით მოსკოვთან კონსულტაციების დაწყებასაც გეგმავს.

ე.წ. დოკუმენტი გალის რაიონის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც ეთნიკური ნიშნით გამოძევების რამდენიმე ტალღას გადაურჩნენ. თუმცა, იმ ეთნიკური ქართველების რაოდენობა, რომლებიც ბინადრობის ნებართვებს მიღებას შეძლებენ, შეზღუდული იქნება.

სეპარატისტული რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნებართვების მიღების მსურველებს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა მოუწევთ, რომლითაც დადასტურდება, რომ 1999 წლიდან სულ ცოტა 10 წლის განმავლობაში ისინი აფხაზეთში ცხოვრობდნენ.<sup>9</sup>

„მოქალაქეობის შესახებ“ სეპარატისტული რეგიონის კანონის თანახმად<sup>10</sup>, აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის მფლობელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ეთნიკური აფხაზი, ასევე პირი, რომელიც არ არის ეთნიკური აფხაზი, მაგრამ აფხაზეთში 1994 წლიდან 1999 წლამდე ცხოვრობდა და არ არის სხვა რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა რუსეთის ფედერაციისა.

სეპარატისტული რეგიონის უკვე ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ასლან კობახიამ, რომელიც პასპორტიზაციის პროცესს კურირებს, 2017 წლის 21 აპრილს გამართულ საჯარო შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ის ეთნიკური ქართველები, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეობის აღებას შეეცდებიან (ბინადრობის ნებართვის ნაცვლად) და იმავდროულად, საქართველოს მოქალაქეობას შეინარჩუნებენ „სამუდამოდ დაკარგავენ აფხაზეთს“.

ოკუპირებული აფხაზეთის ხელისუფლებამ რეგიონის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისთვის აფხაზური პასპორტების გაცემა 2013 წელს შეაჩერა იმის მიზეზით, რომ ამ პროცესს, როგორც არაერთი ადგილობრივი ე.წ. თანამდებობის პირი აცხადებდა, შესაძლოა „აფხაზეთის გაქართველება“ მოჰყოლოდა.

2014 წელს, 24 აგვისტოს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ამომრჩეველთა სიებიდან გალის რაიონის თითქმის 23000 მკვიდრი ამოიღეს. შედეგად, 2017 წლის 12 მარტს სეპარატისტულ რეგიონში გამართული საპარლამენტო არჩევნებისთვის გალის რაიონში მხოლოდ 603 ამომრჩეველი დარეგისტრირდა.

დე-ფაქტო ხელისუფლებამ გალში ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებაც ვერ ჩაატარა, რომელიც დანარჩენ აფხაზეთში 2016 წელს გაიმართა. სეპარატისტული რეგიონის წინა მოწვევის პარლამენტს სპეციალური გადაწყვეტილების მიღება მოუწია, რომლითაც გალის რაიონის 2011 წლის თებერვალში არჩეულ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივდა.

## ქალთა უფლებები

ადამიანის უფლებების კუთხით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მძიმეა ქალთა და ბავშვთა მდგომარეობა. იცვლება ქალის სოციალურ-ეკონომიკური როლი, რის

გამოც ისინი მომეტებული საფრთხის რისკის ქვეშ არიან, კონფლიქტის ტრავმა და მძიმე სოციალური პირობები პირდაპირ აისახება ოჯახში ძალადობაზე, რომლის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად ქალები და ბავშვები არიან.

არალიარებულ რესპუბლიკაში არ არსებობს ძალადობისგან დაცვის მექანიზმები, კრიზისული ცენტრები, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისები. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლებები ექმნებათ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარიატი, ეუთოს უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისარიატი და ა.შ.

ამის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით ოკუპირებულ აფხაზეთში მიიღეს ე.წ. კანონი ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ.<sup>11</sup>

კანონი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, დასაქმების ადგილზე თანაბარი უფლებები, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოსათვის, კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და ა.შ.

სამწუხაროდ, ე.წ. კანონის რეალურად მუშაობისთვის საკმარისი მექანიზმები არ არის შექმნილი, თუმცა მისი არსებობა უკვე მეტყველებს პრობლემის აღიარებაზე. რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია მუშაობს ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და არაფორმალური განათლების მიმართულებით. საქართველოს სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობოების განცხადებით, აფხაზეთის საზოგადოებაში ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ რთულ და ამასთან, დაფარულ პრობლემას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ეთნიკური თავისებურებების გამო, აფხაზეთს საზოგადოებაში არ არის მიღებული ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა. ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი აგრძელებს მოძალადე მეუღლესთან ცხოვრებას. არ არსებობს თავშესაფრები ან კრიზისული ცენტრები მსხვერპლთათვის, სადაც მათ დროებით უსაფრთხო ადგილას თავის შეფარება შეეძლებოდათ.

გალის რაიონში ფუნქციონირებდა თავშესაფარი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს 3-დან 15 დღემდე შეეძლო ცხოვრება, თუმცა ეს თავშესაფარი დაფინანსების სიმცირის გამო დაიხურა.

ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიკითხა სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და ეთნიკური წარმომავლობის 60 ქალი. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ადასტურებს ოჯახში ძალადობის არსებობას აფხაზეთში, თუმცა ამბობენ, რომ ეს დაფარული პრობლემაა. ამასთან, ისინი თვლიან, რომ სახელმწიფომ უნდა დასაჯოს ძალადობის ნებისმიერი ფაქტი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ოკუპირებულ აფხაზეთში 2017 წლის 18-19 მარტს ქ. ბიჭვინთაში „აფხაზეთის ქალთა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერული ნიშნით ძალადობა როგორც სოციალური პრობლემა“.<sup>12</sup>

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პრობლემაზე „აფხაზეთის ქალთა ასოციაციამ“ ჯერ კიდევ 2012 წელს ჩაატარა კვლევები და კანონპროექტიც კი მოამზადა „ოჯახური ძალადობის შესახებ“, მაგრამ ე.წ. დეკლარაციებისგან მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს.

ორდღიან ტრენინგში, ქ. ბიჭვინთაში, მონაწილეობა მიიღეს ოკუპირებული აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, ექიმებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, ჟურნალისტებმა და სტუდენტებმა. ტრენინგის მიზანს, ორგანიზატორების განცხადებით, გენდერული ძალადობის ბუნების, მიზეზების და შედეგების შესახებ მონაწილეების ინფორმირება წარმოადგენდა.

ტრენინგის ერთერთმა ორგანიზატორმა, ფსიქოლოგმა ელანა თარბამ, დამსწრეთ განუმარტა ტერმინის „გენდერული ძალადობა“ მნიშვნელობა და დაამატა, რომ უმეტეს წილად ძალადობის მსხვერპლნი ქალები და ბავშვები არიან. ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა, „აქ საუბარია არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ცალკეულ პიროვნებაზე, რომელიც სოციუმის ნაწილია და ამიტომაც ძალადობა სოციალურ პრობლემას წარმოადგენს“.

ტრენინგის მონაწილეებმა აღიარეს დე-ფაქტო აფხაზეთში გენდერული ნიშნით ძალადობის პრობლემის არსებობა და ისაუბრეს გამომწვევ მიზეზებზე. ფსიქოლოგების აზრით, მოქალაქეებს უჭირთ ამ პრობლემის აღიარება ეთნოკულტურული თვისებების, არაინფორმირებულობის და სხვა მიზეზების გამო.

ამასთან ერთად, პრობლემის მიზეზად დასახელდა გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმების არარსებობა აფხაზეთში.

„აფხაზეთის ქალთა ასოციაციის“ გამგეობის წევრმა, მარიეტა ტოპჩიანმა, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „იმის გამო, რომ აფხაზეთის პარლამენტში შემცირებულია დეპუტატი ქალების რაოდენობა, ძალიან ძნელია „გენდერული ძალადობის შესახებ“ კანონის მიღება. ახლა მთავარია ამ პრობლემისადმი ადამიანების დამოკიდებულება შეიცვალოს“.

ოკუპირებულ აფხაზეთში „გენდერული ძალადობის პრობლემის აქტუალიზაცია და მის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ღონისძიებების გატარება“ ხორციელდება COBERM-ის (ადრეული რეაგირების მექანიზმი) პროგრამის მხარდაჭერით.

საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, ოკუპირებულ აფხაზეთში ქალთა უფლებების დარღვევის დამადასტურებელია-ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, ე.წ. „ღირსების მკვლელობები“, აბორტის აკრძალვა აფხაზეთში და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შეზღუდვა.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, ასევე მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის, მათ შორის ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

## ბინადრობის ნებართვა და პასპორტიზაცია

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა. აღნიშნული კანონი არეგულირებს არაღიარებული რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონის (გალის რაიონი) მოსახლეობის სამართლებრივ მდგომარეობას.

ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა პარლამენტში, დიმიტრი შამბამ, კანონპროექტის წარდგენისას აღნიშნა: „კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას „უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლში<sup>13</sup>, რომელიც არეგულირებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის წესს“.

დიმიტრი შამბას თქმით, „აქამდე არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემის მხოლოდ ორი საფუძველი. პირველი-ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც ქორწინებაში იმყოფება აფხაზეთის მოქალაქესთან. მეორე-ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც დაბადებულია აფხაზეთის ასსრ-ში და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების მომენტიდან. მოცემული ცვლილება ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემის მესამე საფუძველს და ეს არის ბინადრობის ნებართვის გაცემა არა მოქალაქეობის არმქონე პირზე არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც დაბადებულია აფხაზეთის ასსრ-ს გალის რაიონში და მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1999 წლის 12 ოქტომბრიდან არა ნაკლებ 10 წლისა“.

შემოთავაზებული ცვლილებების წინააღმდეგ გამოვიდა ე.წ. დეპუტატი იური ზუხბა, რომლის თქმითაც: „გამოდის, რომ ჩვენ ვღებულობთ კანონს ცალკე აღებული რაიონისთვის. ჩემი აზრით ეს საფრთხის შემცველია, რადგან საზღვართან ახლოს ჩვენ მივიღებთ დიდი რაოდენობით ხალხს, რომელთაც ჩვენ ოფიციალურად ვაღიარებთ საქართველოს მოქალაქეებად“

ამის საპასუხოდ ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა, „ის ფაქტი, რომ ჩვენ გავცემთ ბინადრობის ნებართვას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და ამით ვაკანონებთ მათ სამართლებრივ

სტატუსს, არ არის კარგი, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა შეიქმნებოდა თუ ჩვენ აღნიშნულ პირებზე გავცემთ ბინადრობის ნებართვას, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირზე. ამ შემთხვევაში მათთვის მაქალაქეობის მიღებისკენ გზა ხსნილი იქნება, რადგანაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც გააჩნია ბინადრობის ნებართვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამი წლის შემდეგ შეუძლია მოგვმართოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე. იმ შემთხვევაში კი თუ ჩვენ ბინადრობის ნებართვას გავცემთ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მას არ ექნება უფლება მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა მანამ, სანამ არ გამოვა უცხო ქვეყნის მოქალაქეობიდან“. „უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ოკუპირებული აფხაზეთის რესპუბლიკის კანონში ცვლილებები ე.წ. დეპუტატების ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.<sup>14</sup>

„აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ოკუპირებული აფხაზეთის რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის თანახმად (მიღებული 2016 წელს 26 იანვარი №4018-ც-V), მინისტრთა კაბინეტის მიერ ერთხმად იქნა მიღებული ე.წ. დადგენილება „ბინადრობის ნებართვის დოკუმენტის ბლანკის ფორმის, მისი აღწერილობის, გაცემის ან აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის ვადის გაგრძელების და აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან ვადის გასაგრძელებლად განცხადების ფორმის შესახებ“. ამავე ე.წ. დადგენილებით, დე-ფაქტო შსს უფლებამოსილია განახორციელოს ოკუპირებული აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია. კერძოდ, დაამტკიცოს აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გაცემის ან ვადის გაგრძელების ინსტრუქცია და 2017 წლის 17 აპრილიდან შეუდგეს არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გაცემას. აგრეთვე, დადგენილებაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში წარსადგენად, დაინტერესებულ ორგანოებთან ორთვიან ვადაში უნდა მომზადდეს და შეთანხმდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების აფხაზეთის რესპუბლიკაში მუდმივი ცხოვრების შესახებ დამადასტურებელი შეტყობინების მიწოდების პროცედურა და ფორმა. დადგენილებით, აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის მფლობელებს, აფხაზეთის რესპუბლიკაში არანაკლებ 10 წლის სამუშაო სტაჟის არსებობის შემთხვევაში, აქვთ უფლება მიიღონ შრომითი პენსია. ამავე დადგენილებით ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა, „აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გამოყენებით რუსეთის ფედერაციაში შესვლის და რუსეთის ფედერაციიდან გასვლის შესაძლებლობის თაობაზე“ დაიწყოს რუსულ მხარესთან კონსულტაციები.<sup>15</sup>

„Апсыра телерагъыра“-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის რესპუბლიკის პასპორტის, „ბინადრობის ნებართვის“ გაცემას და ე.წ. ფორმა №9 მოქმედების ვადის გაგრძელებას ეხებოდა. გადაცემაში არაღიარებული რესპუბლიკის შსს-ს გალის რაიონის საპასპორტო განყოფილების უფროსი, თემურ მინაია, უხსნიდა მაყურებელს თუ როგორ მიმდინარეობს ქ.გალის საპასპორტო განყოფილებაში აღნიშნული საბუთების გაცემის პროცედურა. მისი თქმით, მოქალაქე წარადგენს ე.წ. „ბინადრობის ნებართვის“ მისაღებად საჭირო დოკუმენტაციას. შემდეგ, მისგან იღებენ თითის ანაბეჭდებს. ეს მონაცემები შეყავთ კომპიუტერში და მხოლოდ ამის შემდეგ მას უგრძელდება ფორმა №9-ს მოქმედების ვადა ორი თვით (აღნიშნული ვადა საჭიროა „ბინადრობის ნებართვის“ მიღების მსურველის სპეციალური შემოწმებისათვის).

2017 წლის იანვარში, გალის რაიონის ქართული მოსახლეობისთვის ფორმა №9-ს მოქმედების ვადა ექვსი თვით გაგრძელდა და ამის შემდეგ მისი გაცემა/ვადის გაგრძელება შეწყდა (ე.წ. ბინადრობის ნებართვის მიღებაზე განაცხადის გარეშე ფორმა №9-ს ვადა არ გრძელდება).

გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ოკუპირებული აფხაზეთის შს სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამმართველოს ხელმძღვანელმა ედუარდ მანარგიამ. მისი განცხადებით, ე.წ. „ბინადრობის ნებართვა“ ისეთი იურიდიული საკითხების განხორციელების საშუალებას იძლევა, როგორც არის აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება და საზღვრის გადაკვეთა. მისი თქმით, ე.წ. „ბინადრობის ნებართვის“ ბლანკის ნიმუშები უკვე გადაგზავნილია სასაზღვრო სამმართველოში, რომელიც საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე მდებარეობს და მთარული ჭორები იმის თაობაზე, რომ თითქოს გადაადგილებისას რამე შეფერხებას ექნება ადგილი, უსაფუძვლოა. აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ე.წ. „ბინადრობის ნებართვა“ გაიცემა ხუთი წლის ვადით და მისი მფლობელი



ვალდებულია ყოველ წელიწადს, მიგრაციის სფეროში კონტროლის და ზედამხედველობის ფუნქციების განმახორციელებელ უფლებამოსილ ცენტრალურ ან ტერიტორიულ ორგანოს შეატყობინოს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრების შესახებ დასტური.<sup>16</sup>

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ძველი პასპორტები 2018 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ითვლება (თუმცა სოხუმში საუბრობენ იმაზე, რომ ბევრმა ვერ მოასწრო ე.წ. ახალი პასპორტების აღება და ეს ვადა გაგრძელდება).

2017 წლის 1 ნოემბერს, სოხუმში, ე.წ. საზოგადოებრივ პალატაში ჩატარდა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ, ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია, ე.წ. საპასპორტო-სავიზო სამსახურის ხელმძღვანელი ედუარდ მანარგია, ე.წ. შსს-ს მინისტრი გარი არშა და ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის წარმომადგენელი ასიდა შაკრილი.

სხდომაზე განიხილებოდა პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან არა აფხაზი ეროვნების მოქალაქეები ე.წ. ახალი პასპორტების აღებისას (გალის ქართველი მოსახლეობის პასპორტიზაციის საკითხის განხილვა თავიდანვე გადადეს).

სხდომაზე განიხილავდნენ ძველი პასპორტების ახლით შეცვლის პროცესს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სხდომაზე კამათი გამოიწვია ოკუპირებული აფხაზეთის 2005 წლის „მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლმა, რომლის თანახმადაც პირს, რომელიც 1994 წლიდან 1999 წლამდე უწყვეტად არ ცხოვრობდა ე.წ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შეიძლება მიენიჭოს ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ე.წ. კანონამდე მოქმედებდა 1993 წელს მიღებული „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი, რომელშიც ეს შეზღუდვა არ არსებობდა.

ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის წარმომადგენელმა ასიდა შაკრილმა აღნიშნა, სიტუაცია ისეთ აბსურდამდე მივიდა, რომ ე.წ. საპასპორტო მაგიდები ახალი ბლანკების გაცემაზე უარს ეუბნებიან ე.წ. ქართულ-აფხაზური ომის ე.წ. გმირებსაც კი. მისი თქმით ე.წ. ახალი პასპორტის აღებისას მსგავს პრობლემებს წააწყდა ალბერტ ტოპოლიანი და დაამატა, რომ ხალხს (საუბარია არა აფხაზი ეროვნების პირებზე) 1994 წლიდან 1999 წლამდე პერიოდში არ შეეძლოთ ცოდნოდათ იმის შესახებ, რომ 2005 წელს კანონი შეიცვლებოდა.

საპასპორტო-სავიზო სამსახურის ხელმძღვანელის ედუარდ მანარგიას განცხადებით, დღევანდელი დღისთვის ოკუპირებულ აფხაზეთში გაცემულია 41 145 ე.წ. ახალი პასპორტი და უარი ეთქვა 66 განმცხადებელს. მანარგიას თქმით, ე.წ. პასპორტიზაციის დასრულებისას ეს ციფრი გაცილებით უფრო მაღალი იქნება.<sup>17</sup>

ე.წ. აფხაზური კანონმდებლობით „ახალი პასპორტის“ გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს ავტომატურად უწყდება ოკუპირებული აფხაზეთის და შესაბამისად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა.

---

1. **Законы Республики Абхазия**
2. [https://www.youtube.com/watch?v=SzdAuY\\_j6jE](https://www.youtube.com/watch?v=SzdAuY_j6jE)
3. ვრცლად **ხელმისაწვდომია** **რუსულენოვან** **ვებგვერდზე**  
[https://kompromat1.info/articles/71817kak\\_otzhimajut\\_kuplennuju\\_rossijanami\\_nedvizhimostj\\_v\\_abhazii\\_i\\_pochemu\\_russkikh\\_v\\_respublike\\_vse\\_menjshe](https://kompromat1.info/articles/71817kak_otzhimajut_kuplennuju_rossijanami_nedvizhimostj_v_abhazii_i_pochemu_russkikh_v_respublike_vse_menjshe)
4. **ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე** <http://sputnik-abkhazia.ru/repatriation/20171006/1022048704/repatrianty-budut-poluchat-abxazskie-pasporta-po-uskorennoj-sxeme.html>
5. **15.09.2017**<http://abkhaziajustice.gov.ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/>
6. **05.10.2017** **ხელმისაწვდომია** **რუსულენოვან** **ვებგვერდზე:** <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20171005/1022025580/kvartirnyj-vopros-v-abhazii-kontrasty-rynka-nedvizhimosti.html>
7. **ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე** <http://abkhazinform.com/item/6575-v-vostochnoj-abkhazii-vydano-500-vidov-na-zhitelstvo>

8. 25.01.2017 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე  
[http://aiaaira.com/news/politics/zhiteli\\_galskogo\\_rayona\\_vyshli\\_protestovat/25.01.2017](http://aiaaira.com/news/politics/zhiteli_galskogo_rayona_vyshli_protestovat/25.01.2017)
9. ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mvdra.org/>
10. Закон Республики Абхазия „О гражданстве Республики Абхазия“
11. Закон Республики Абхазия „Об обеспечении равных прав и возможностей для мужчин и женщин в Республике Абхазия“  
<https://goo.gl/aDzYbI>
12. 20.03.2017 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.ekhokavkaza.com/a/28380613.html>
13. Закон Республики Абхазия „О правовом положении иностранных граждан в Республике Абхазия:“  
<http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/72a/%D0%97%D0%B0%D0%BA%D0%BE%D0%BD%20%D0%A0%D0%90%20%D0%9E%20%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%BC%20%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B6%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B8%20%D0%B8%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%BD%D1%8B%D1%85%20%D0%B3%D1%80%D0%B0%D0%B6%D0%B4%D0%B0%D0%BD%20%D0%B2%20%D0%A0%D0%90.pdf>
14. 29.12.2016 <https://abh-n.ru/pravovoe-polozhenie-zhitelej-vostochnyxrajonov-abxaziibudet-uregulirovano/>
15. 30.03.2017 <http://www.km-ra.org/index.php/ru/news/item/941-proshlo-ocherednoe-zasedaniekabinetaministrov-respubliki-abkhaziya>
16. 04.07.17 **Апсуа телехәапшра** <https://www.youtube.com/watch?v=3EFCqeIAS3s>
17. 01.11.2017 <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20171101/1022294054/gabniya-o-zamene-abxazskix-pasportov-shans-vychistitsya.html>

29.12.2017